18/11/2026

MES 2 26 0001684956

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს -,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კერძო სკოლა ლომისი
თამარ ბარძიმაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლა
ნინო ხალვაში - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა
ვიოლა ხარაბაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლა
გიული შენგელია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლა
მიხეილ გიორგაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა
ანზორ ხუხუნაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლა
ნანა საბულუა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა
ნანა ბოჭორიშვილი - სკოლის დირექტორი
ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია
ილია ნასიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა
მანუჩარ ხარებავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლა
დავით გურგენიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლა
ნატალია სისვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლა
მარიკა ფაიქიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლა
ლია შოთაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა
შორენა უგრეხელიძე - სკოლის დირექტორი

სხვა დამსწრე პირი შპს კერძო სკოლა ლომისი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომას ესწრებოდა მოსწავლის მშობელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 04 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ

რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს კერძო სკოლა ლომისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის

საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს კერძო სკოლა ლომისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არა გეგმური მონიტორინგი განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზები და გაიცა რჩევა, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, ექსპერტს ჰკითხა, რამდენად ჰქონდა სკოლას სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, აღნიშნა, რომ სკოლას მსგავსი გამოცდილება წარსულში არ ჰქონია.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რომელიც სკოლის მიერ ფსიქოლოგის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს შეეხებოდა.
სკოლის დირექტორმა, თამარ ბარძიმაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინკლუზიური პოლიტიკის დოკუმენტი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ასევე მოწყობილი ჰქონდა რესურსოთახი. ამასთან, სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის

მიერ გაცემული რეკომენდაციები. დირექტორის განმარტებით, ფსიქოლოგის საქმიანობის შესაფასებლად სკოლა სპეციალურ კითხვარებს იყენებდა, რომლებიც მტკიცებულების სახითაც ჰქონდა წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით და მოითხოვა დაზუსტება, თუ როგორ აფასებდა სკოლა ფსიქოლოგის საქმიანობის შედეგებს სასწავლო წლის ბოლოს.
სკოლის დირექტორმა, თამარ ბარძიმაშვილმა, აღნიშნა, რომ ფსიქოლოგის საქმიანობის შეფასება ხორციელდებოდა მის მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და აქტივობების, კლასის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და მშობლებთან კომუნიკაციის საფუძველზე.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, სკოლის დირექტორს ჰკითხა, რა ნაბიჯებს გადადგამდა სკოლა იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოლოგი პირველადი გასაუბრებისას მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირებას ვერ შეძლებდა.
სკოლის დირექტორმა, თამარ ბარძიმაშვილმა, აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში სკოლა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა პროცედურას გაატარებდა.
საბჭოს წევრმა, ნინო ბერიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, არსებობდა თუ არა სკოლაში მშობლების ინფორმირების დადგენილი წესი.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, აღნიშნა, რომ მშობლებთან გასაუბრებისას მათ ერთხმად დაადასტურეს, რომ სკოლა მათ სრულყოფილ ინფორმაციას აწვდიდა. თუმცა, მისივე განმარტებით, მშობლების ინფორმირების საკითხთან დაკავშირებით სკოლას შესაბამისი დოკუმენტირებული წესი წარმოდგენილი არ ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, ნინო ბერიკაშვილმა, ექსპერტს დამატებით მიმართა კითხვით, რომელიც მშობლისთვის გადაცემულ წერილს შეეხებოდა, კერძოდ, რატომ არ იყო აღნიშნული წერილი კანცელარიაში რეგისტრირებული.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, განმარტა, რომ სკოლის საქმისმწარმოებლის განცხადებით, აღნიშნული წერილი პირადი ხასიათის იყო და, შესაბამისად, მისი რეგისტრაცია დადგენილი წესით არ განხორციელებულა. თუმცა, მშობელი აღნიშნულ წერილს ოფიციალურ დოკუმენტად მიიჩნევდა.
საბჭოს წევრმა, ირმა ამირანაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა, როგორ რეგულირდებოდა დახურული კონვერტით მიღებული პირადი ხასიათის წერილის დამუშავების საკითხი.
სკოლის დირექტორმა, თამარ ბარძიმაშვილმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი წესი სკოლას შემუშავებული ჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში მზად იყო, მასში დამატებითი კონკრეტიკა შეეტანა.
მშობელმა, საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის დასკვნას არ ეთანხმებოდა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. მისი განმარტებით, ექსპერტის მიერ საბჭოსთვის წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მშობელთან წინასწარ გადამოწმებული არ ყოფილა. მშობელმა აღნიშნა, რომ პროცესში პირველივე დღიდან იყო ჩართული და დაუშვებლად მიიჩნევდა მოსწავლისთვის გარკვეული სტატუსის მინიჭებას შესაბამისი ოფიციალური დასკვნის გარეშე. ამასთან, აღნიშნა, რომ სკოლასთან აქტიური კომუნიკაციის მიუხედავად, შვილის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა მიღებული.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, მშობელს მიმართა კითხვით და დააზუსტა, გამოხატავდა თუ არა იგი წინააღმდეგობას მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით.
მშობელმა აღნიშნა, რომ სკოლას მისთვის აღნიშნულ საკითხზე არ მიუმართავს. შესაბამისად, მისივე განმარტებით, სკოლის განცხადება იმის შესახებ, რომ მშობელი მოსწავლის შეფასებას ეწინააღმდეგებოდა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს და საბჭო შეცდომაში შეჰყავდა.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მშობელს მიმართა კითხვით და მოითხოვა მის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის დაზუსტება ე.წ. „სირცხვილის სკამთან“ დაკავშირებით.

მშობელმა განმარტა, რომ სკოლაში არსებობდა ე.წ. „სირცხვილის სკამი“, რომელზეც დასჯის მიზნით მოსწავლეს სხვა მოსწავლეების თანდასწრებით სვამდნენ.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, აღნიშნა, რომ სკოლაში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული გარემოება არ დადასტურებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ლომისის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კერძო სკოლა ლომისის (ს/კ: 209466932) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2027 წლის აპრილიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-3 და მე-4 სტანდარტები.

2. სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 22 ივნისის N 777289

ოქმის მე - 5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2026 წლის წლის 15 სექტემბრამდე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგთა შერჩევის/დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა მოწვეულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტები: მოწვეულ მასწავლებელთა განცხადება, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, დანიშვნის ბრძანება, ვაკანსიის გამოცხადების ბრძანებები, ვაკანსიის ოქმები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნინო ხალვაშმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების მხრივ სკოლამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები მაგრამ სრულფასოვნად პრობლემა ვერ მოგვარდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:04
დასრულების დრო: 16:15

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეუსრულებელ რეკომენდაციასთან კერძოდ კვალიფიციური კადრის დასაქმებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის აგვისტო.

3. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 19 ივნისის N 752010 ოქმის მე - 6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში კანონმდებლობის შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულების ცენტრში წარმოდგენა.დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სამოქალაქო განათლების პედაგოგის სტატუსის მოპოვების დოკუმენტაცია (მასწავლებლის მიერ ჩაბარებული გამოცდის და სტატუსის ასახვის წერილი ,მასწავლებლის სტატუსის ფოტო Eschool-ის ბაზიდან, სკოლის შვებულებაში გასული მასწავლებლის Eschool-ის ბაზის ფოტო) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებაზე გაგზავნილი კორესპონდენცია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ვიოლა ხარაბაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის ნაწილი სკოლის მიერ შესრულებული იყო და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია, გარდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის საბოლოო შეთანხმების წერილისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:19
დასრულების დრო: 16:23

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციათან , კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის საბოლოო შეთანხმების დოკუმენტაციის საკითხებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის დეკემბერი.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 12 დეკემბრის N 1770704 ოქმის მე - 5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის დეკემბერში სკოლის ფილოსოფიის რევიზირების, გაზიარების, მასში თვითშეფასების შედეგების გათვალისწინების, სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნების, სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინების, ერთწლიანი გეგმის შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, სამოქმედო გეგმის გაანალიზებისა და შედეგების სკოლის განვითარებისთვის გამოყენების, კვალიფიციური მასწავლებლებისა და ექიმების დასაქმების, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის მოპოვების (მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და დასაქმებულებისგან) ახლად იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებებისდაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის, კითხვარების ანალიზის, ყველა მოსწავლისთვის
სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფის, კვების ობიექტის სისტემური შეფასების მექანიზმების ამოქმედებისა და ობიექტის მუდმივი მონიტორინგის მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სკოლის ფოლოსოფიასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კითხვარები, თანხმობის ფორმები, მიწერილობები შესაბამის უწყებებთან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, საჯაროობის მტკიცებულებები, ხელშეკრულება ბუფეტთან დაკავშირებით, ისგ ჯგუფის შექმნის დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, გული შენგელიამ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის ნაწილი სკოლის მიერ შესრულებული იყო და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:27
დასრულების დრო: 16:33

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან, კერძოდ, კვალიფიციური მასწავლებლებისა და ექიმების დასაქმებისსაკითხებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2026 წლის დეკემბერი.

5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 01 მაისის № 514223 ოქმის მე - 5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში კვალიფიციური ექიმის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული ექიმის დიპლომი, პედიატრიის სერტიფიკატი, ოჯახის ექიმის სერტიფიკატი და სკოლის ექიმის დანიშვნის შესახებ ბრძანება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია სკოლას შესრულებული ჰქონდა და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:36
დასრულების დრო: 16:42

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

6. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 08 ივლისის № 895009 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის, შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობის და სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა სამედიცინო კაბინეტში მხოლოდ სამედიცინო ტახტის არსებობის შესახებ მტკიცებულება და სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტის მუშაობის დამადასტურებელიდოკუმენტი, თუმცა არ წარმოუდგენია ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნა. ასევე, წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებისა და შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის შესახებ მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ანზორ ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ იმუშავა საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით, თუმცა გარკვეული რეკომენდაციების სრულად შესრულება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:46
დასრულების დრო: 16:51

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან, კერძოდ, სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის, საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობის და სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის ნოემბერი.

7. სსიპ - ქალაქ ფოთის №15 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 18 ივნისის № 752010 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სკოლის ფილოსოფიის გაზიარების სანდო მტკიცებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების, სკოლაში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის დასაქმების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, ვებ-გვერდზე განთავსებული სკოლის პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებში შესაბამისი ინფორმაციის დამატების მტკიცებულებების ცენტრში წარმოდგენა.

სკოლამ ცენტრში წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების დასკოლის ფილოსოფიის გაზიარების მტკიცებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების, სკოლაში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების მტკიცებულებები. დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის დასაქმების შესახებ მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნანა საბულუამ აღნიშნა, რომ სკოლამ იმუშავა საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების საკითზე და წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა დარჩენილი ჰქონდათ გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელთა წარმოდგენაც სკოლას საბჭოს გადაწყვეტილებით ევალებოდა 2027 წლის აპრილში. რაც შეეხებოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელს, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა დაწყებით საფეხურს და მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში სკოლამ ვაკანსიის საფუძველზე აიყვანა დაწყებითი საფეხურის პედაგოგი, რომელიც დამატებით სერტიფიცირებული იყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:53
დასრულების დრო: 16:58

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაციისთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2026 წლის ნოემბერი.

8. სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 03 ივლისის № 845315 ოქმის მე - 2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში სკოლის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული მექანიზმების რეალური ფუნქციონირების, სკოლაში დამატებითი/არაფორმალური წრეებისა და კლუბების საქმიანობის, აღნიშნულ პროცესში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობის (მენტორობა/ფასილიტაცია) მტკიცებულებების, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან იჯარით აღებული ფართის ამონაწერის (მოიჯარის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მითითებით), სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კვების ობიექტზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტების, კვების ობიექტის საქმიანობის შიდა მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებისა და განხორციელებული მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა წრეებისა და კლუბების ამსახველი დოკუმენტაცია, რეესტრიდან ამონაწერი, კვების ობიექტის შიდა მონიტორინგის ბრძანება და მონიტორინგის განხორციელების დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნანა ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები კლუბებთან დაკავშირებით შესრულებული იყო და წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო რაც შეეხებოდა კვების ობიექტს, მოცემულ მომენტში შეწყვეტილი იყო ხელშეკრულება ძველ მოიჯარესთან და სკოლა აუქციონის განხორციელების ეტაპზე იყო და ელოდებოდნენ ახალ მოიჯარეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:03
დასრულების დრო: 17:07

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

9. ა(ა)იპ - მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 13 აგვისტოს № 1046050 ოქმის მე - 3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2026 წლის სექტემბერში კვალიფიციური კადრის, კერძოდ, სკოლის ექიმის და სპორტის მასწავლებლის აყვანის შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.
დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული ექიმის და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ნაირა თაბაგარმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სკოლას შესრულებული ჰქონდა, კერძოდ, ორივე კადრის შემთხვევაში გამოცხადებული იყო კონკურსები, რომლის ფარგლებშიც შერჩეულ იქნა კვალიფიციური კადრი და ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:09
დასრულების დრო: 17:13

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

10. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 06 ივლისის № 869875 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ექიმის ვაკანსიის გამოცხადებისა და კონკურსის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა არ წარმოუდგენია ექიმის აყვანის შესახებ დოკუმენტაცია. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომელიც ცენტრში უნდა წარმოედგინა 2027 წლის თებერვალში და ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მანუჩარ ხარებავამ აღნიშნა, რომ სკოლამ იმუშავა საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებისმიმართულებით., კერძოდ, ვაკანსიის საფუძველზე დაასაქმესბიბლიოთეკარი,ასევე მოპოვებული ჰქონდათ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. რაც შეეხებოდა ექიმის პოზიციას, დირექტორის განმარტებით, რამდენჯერმე გამოცხადდა კონკურსი, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შერჩევა ვერ მოხერხდა. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულ პერიოდში სკოლას კვლავ ჰქონდა გამოცხადებული აქტიური ვაკანსია. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო ექთანი. დამატებით, მანუჩარ ხარებავამ აღნიშნა, რომ სკოლა აგრძელებდა დანარჩენ რეკომენდაციებზე მუშაობას, რომელთა ცენტრში წარმოდგენის თარიღიც იყო 2027 წლის თებერვალი და მაისი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:19

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან, კერძოდ, შესაბამისი კვალიფიკაციის სკოლის ექიმის აყვანასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის ნოემბერი.

11. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა ნონა ჩუბინიძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა თვითაცილება აღნიშნული სკოლის საკითხის მიმართ, გამომდინარე იქიდან, რომ 2025 წელს სკოლაში მუშაობდა როგორც კონსულტანტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული.საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის აგვისტოს N 1030260 ოქმის მე - 6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის აგვისტოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამართვის, ასევე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის აყვანისა დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში. დაწესებულებამ ცენტრში

წარმოადგინა ლაბორატორიის მოწყობა/აღჭურვასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებასთან მიწერილობა და მიღებული პასუხი, კონკურსის გამოცხადების მასალები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, დავით გურგენიძე აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია სკოლის განმარტებით კვლავ შეუსრულებელია, შეუსრულებელ რეკომენდაციებს შეასრულებენ საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:21
დასრულების დრო: 17:25

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეუსრულებელ რეკომენდაციებთან , კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამართვის და მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის აყვანასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის სექტემბერი.

12. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 30 აგვისტოს N 1030260 ოქმის მე - 5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, კერძოდ, 2025 წლის აგვისტოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის, სამედიცინო კაბინეტის მოწყობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და მეორე სართულის და საერთო სარგებლობის სივრცეების (საბიბლიოთეკო, კომპიუტერული) ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით რეაგირების დოკუმენტები/მიწერილობები შესაბამის უწყებებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნატალია სისვაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სკოლის მიერ ნაწილობრივ იყო შესრულებული და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:27

დასრულების დრო: 17:31

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან, კერძოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის, სამედიცინო კაბინეტის მოწყობის, მეორე სართულის და საერთო სარგებლობის სივრცეების (საბიბლიოთეკო, კომპიუტერული) ადაპტირების საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის სექტემბერი.

13. სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 16 დეკემბერი N 1613392 ოქმის მე - 5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის დეკემბერში კომპიუტერული ტექნოლოგიების, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის აყვანის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტის მოწყობის, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასუტრებელი მტკიცებულებების წარმოდგენა. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ექთნის დანიშვნისა და კაბინეტის აღჭურვის შესახებ (მიღება-ჩაბარება) ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელი საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:33
დასრულების დრო: 17:39

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან , კერძოდ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მუსიკის კვალიფიციური მასწავლებლის აყვანის, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიმართულებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის სექტემბერი.

14. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 07 აგვისტოს N 952244 ოქმის მე - 2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2026 წლის ივლისში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების სარეგისტრაციო ჟურნალში ასახვისა და კვალიფიციური პედაგოგების დასაქმების, ასევე, 2025 წლის სექტემბერში განახლებული სამოქმედო გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, სამოქმედო გეგმა, გარე კონკურსის ოქმი სპორტისა და ხელოვნების პედაგოგებთან მიმართებით, ბიბლიოთეკის მოწესრიგების ფოტოები, სახანძრო უდაფრთხოების საკითხებზეკორესპონდენციები და კურიკულუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მარიკა ფაიქიძე აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სკოლის მიერ ნაწილობრივ შესრულებული იყო და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:43
დასრულების დრო: 17:48

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან კერძოდ (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა) დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის სექტემბერი.

15. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 30 ივლისის N 930489 ოქმის მე - 3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის ოქტომბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, 2026 წლის ივნისში 3.5 კომპონენტთან მიმართებით ლიფტის ან პანდუსის მოწყობის, 2.2 კომპონენტთან მიმართებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სახანძროს დასკვნა, ექიმის კონკურსის მასალები - თუმცა ეს რეკომენდაცია საბჭოს არ გაუცია, სამხარაულის დასკვნა და ლაბორატორიის მოწყობის მტკიცებულებები, გაფორმებული ხელშეკრულება ლაბორატორიაზე, ამწოვი კარადის მასალები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ლია შოთაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია სკოლის მიერ ნაწილობრივ შესრულებული იყო და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია, ხოლო დარჩენილ რეკომენდაციას ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულებას წარმოადგენენ საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:51
დასრულების დრო: 17:54

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან, კერძოდ ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის ნოემბერი.

16. სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა თვითაცილება აღნიშნული სკოლის საკითხის მიმართ, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში მუშაობს მენტორ მასწავლებლად. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული.საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 05 სექტემბრის N 1075463 ოქმის მე - 6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის სექტემბერში, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, 2025 წლის დეკემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ექიმის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, ექთნის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია, და სახანძრო უსაფრტხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ უარყოფითი დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, შორენა უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სკოლის მიერ შესრულებული იყო და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:55
დასრულების დრო: 17:58

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან, კერძოდ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის ნოემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:59 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე